შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N 1

2023 წლის 23 მარტი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

სერგი ხიდეშელი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;

ლევან შერაზადიშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

მარინე რაზმაძე - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ხათუნა ღუღუნიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ია ალიბეგაშვილი - შშმ პირი, კომისიის წევრი;

თამაზ გოგლიძე -შშმ პირი, კომისიის წევრი;

ლამარა გამყრელიძე - მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, საბჭოს მდივანი.

სხდომა მიყავდა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის მერს სერგი ხიდეშელს.

სხდომის თავმჯდომარემ, სერგი ხიდეშელმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებს, გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 ტექნიკურ რეგლამენტში -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ ცვლილებების შესახებ“ განხილვა და სტანდარტებიდან გამომდინარე, ონის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ანალიზი

მომხსენებელი **გივი ბენდიანიშვილი** - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

თანამომხსენებელი **ლერი მღებრიშვილი** - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

2.შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის ცნობიერების ამაღლების მდგომარეობა, გენდერული თანასწორობის პრინციპების ჭრილში

მომხსენებელი **ელენე ჩიკვილაძე** -ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის სპეციალისტი;

3.ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სხვა ბავშვების მსგავსად, თანაბარი უფლებებისა და მოპყრობის რეალიზების მდგომარეობა

მომხსენებელი თამარ ლობჯანიძე - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი;

თანამომხსენებელი - მაია ჯაფარიძე, მინდობით აღმზრდელი;

4. მუნიციპალიტეტის მიერ, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, შესაბამისი პროგრამების შემუშავების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მდგომარეობის შესახებ

მომხსენებელი თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი

მოისმინეს 1:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილებაში ტექნიკური რეგლამენტი» - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ ცვლილებების შესახებ“ განხილვა და სტანდარტებიდან გამომდინარე, ონის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ანალიზი

გივი ბენდიანიშვილი - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის უფროსი;

ლერი მღებრიშვილი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

მომხსენებელი **გივი ბენდიანიშვილი,** სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, აღნიშნავს, რომ ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, მიღებულია საქართველოს მთავრობის N732 დადგენილებით, 2020 წლის 4 დეკემბერს და ამოქმედდა 2021 წლის პირველი მარტიდან. დადგენილების მიღების დღიდან, დღემდე ტექნიკურ რეგლამენტში შევიდა სულ 2 ცვლილება. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 აპრილის N 183 დადგენილებით, მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა კლასის შენობა-ნაგებობაზე, გარდა:

ბ) II,III,IV და V კლასის ობიექტებისა, რომელთა მიმართაც, ამ დადგენილების ამოქმედებამდე, შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი, ან წარდგენილია განაცხადი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე, ან/და გაცემულია ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული.

სტანდარტის ცვლილებები შენობა-ნაგებობებსა და სხვა ადგილებს, ადამიანებისთვის უფრო მისაწვდომსა და გამოყენებადს ხდის, იმ მოქალაქეებისთვის, რომელთაც ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების გამო, არ შეუძლიათ გადაადგილება, ამასთან, სიარულისას, დამოკიდებული არიან დამხმარე საშუალებებზე, არიან უსინათლოები და მცირემხედველები, ყრუ და სმენადაქვეითებულები, არ შეუძლიათ კოორდინაცია, არ შეუძლიათ რომელიმე ობიექტამდე მიღწევა, არ შეუძლიათ ხელის მტევნისა და თითების მოძრაობა.

ტექნიკური რეგლამენტის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შესაძლებლობა მისცეს, დამოუკიდებლად მიუახლოვდეს, შევიდეს და გამოიყენოს ადგილი, საშუალება, შენობა, ან ელემენტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ტექნიკური რეგლამენტი- „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, ეხება როგორც შენობებს, ასევე მის ელემენტებს: იატაკებს, სვლა - გეზებს, კარებს, ფანჯრებს, ლიფტებს, კიბეებს, კიბის სახელურებს, სველ წერტილებს, პანდუსებს და მის სახელურებს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, აქამდეც, როდესაც მიმდინარეობდა რომელიმე საზოგადოებრივი ობიექტის ან სივრცის პროექტირება, საპროექტო დავალებებში, ყოველთვის მითითებულია, რომ პროექტი შეესაბამებოდეს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. ასევე, სისტემატურად ვითხოვთ პროექტის ექსპერტიზას და დასკვნას, თუ რამდენად შეესაბამება შესასყიდი პროექტი საქართველოში არსებულ სამშენებლო კანონმდებლობას და მათ შორის, ტექნიკურ რეგლამენტს.

ონში, ამ რეგლამენტის მოთხოვნათა გათვალისწინება დაიწყო ონის ბაგა- ბაღის შენობის რეაბილიტაციის პროცესიდან, კერძოდ, შენობაში მოეწყო პანდუსი შშმ პირებისთვის. ასევე, შენობის პირველ სართულზე, მოეწყო სველი წერტილები შშმ პირებისთვის.

ონში, ბეერ-შევას პარკში მიმდინარე საჭიდაო დარბაზის მშენებლობის პროექტში გათვალისწინებულია პანდუსის მოწყობა შშმ პირებისთვის. ასევე, პირველ; სართულზე გათვალიწინებულია 2 სველი წერტილი შშმ პირებისთვის(გოგონებისა და ბიჭებისთვის).

ონში აგრარული ბაზრის მშენებლობის პროექტში ასევე, გათვალისწინებულია პანდუსი და სველი წერტილები შშმ პირებისთვის.

მინდა დავარწმუნო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომ ჩვენი სამსახური, მუდმივ ყურადღებას დაუთმობს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებას.

2.თანამომხსენებელი **ლერი მღებრიშვილი,** ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, რომელმაც ხაზი გაუსვა ტექნიკური რეგლამენტის მნიშვნელობას, რომლის შესრულებაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მისაწვდომობის გაზრდას. მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ახალი მშენებლობების დროს, ყურადღება ეთმობოდა მისაწვდომობის პრინციპების დაცვას. მაგალითად, სავაჭრო ობიექტების გარკვეულ ნაწილში უკვე მოწესრიგდა შესასვლელები,

სადაც მოეწყო პანდუსები, კარის სიფართე, დახლებს შორის გასასვლელები. ახალი მუზეუმის შენობაში მოწყობილია არა მარტო პანდუსი, არამედ ლიფტები, ყველა საჯარო სკოლის შენობაში მოწყობილია პანდუსები, კარები, ადაპტირებული ტუალეტები. სამომავლოდ, ჩვენ შეიძლება შევისწავლოთ შენობა-ნაგებობებზე მისაწვდომობის შესაძლებლობები და დავგეგმოთ, შესაძლებლობის მიხედვით მისი მოწყობა, ან ვთხოვოთ მაგალითად, სასტუმრო სახლებს, რომ შესაძლებლობების ფარგლებში, გაითვალისწინონ მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვეს:

1.**სერგი ხიდეშელმა,** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ტექნიკური რეგლამენტის დიდ მნიშვნელობას და გ. ბენდიანიშვილისა და ლ. მღებრიშვილის ყურადღება მიაპყრო, იმას, რომ მუდმივი ზედამხედველობა აწარმოონ ყველა სახის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.

2. **მანანა ჩაგელიშვილი-** საბჭოს წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ კარგი იქნება სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის პროცესში, რომლის მშენებლობაც გათვალისწინებულია მიმდინარე წელს, მუდმივი ზედამხედველობა დაწესდეს, რომ შენობა-ნაგებობები მთლიანად შეესაბამებოდეს მთავრობის დადგენილების ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს, ასევე შენობა-ნაგებობების მოწყობის ტექნიკურ რეგლამენტს.

დაადგინეს 1.

დაევალოს **გივი ბენდიანიშვილს**- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს და **ლერი მღებრიშვილს** - ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, მუდმივი მეთვალყურეობა განახორციელონ ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის“ მოთხოვნათა შესრულებაზე და ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის თაობაზე, 2023 წლის ბოლოს, წარმოუდგინოს ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს.

მოისმინეს 2. შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის ცნობიერების ამაღლების მდგომარეობა გენდერული თანასწორობის პრინციპების ჭრილში.

ელენე ჩიკვილაძე -ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის სპეციალისტი;

მომხსენებელმა **ელენე ჩიკვილაძემ, საბჭოს მოახსენა,** რომ გენდერს დღეს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა და ამ მიმართულებით, არც ჩვენი მუნიციპალიტეტია გამონაკლისი. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში ქალთა ოთახმა დაიწყო ფუნქციონირება, 2023 წლისათვის მომზადდა წლიური სამოქმედო გეგმა. გასულ საანგარიშო პერიოდში მოვასწარით განხორციელებულიყო სხვადასხვა აქტივობები, სადაც იხილებოდა საკითხები გენდერის ჭრილში.

მნიშვნელოვანია, თქვა მან, რომ გენდერული თანასწორობა წარმოადგენს, სქესის მიუხედავად, რესურსებისა და შესაძლებლობების თანაბარ განაწილებას. ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების დროს, აუცილებლად შეუწყობს ხელს სოციალური პროცესების

წარმატებას მუნიციპალიტეტში. ქალთა რაც შეიძლება აქტიური ჩართულობა, თუნდაც, პროგრამულ ბიუჯეტზე მუშაობის პროცესში, თვითრეალიზების შესაძლებლობებსაც მისცემს მათ, რაც ასევე ქალთა ოთახის ინტერესშიც შედის.

მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში ქალების როლი რომ გაძლიერდეს, ამისთვის მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება და იმაში დარწმუნება, რომ დიდია მათი შესაძლებლობები და ისინი უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც გავრცელებული სტერეოტიპების ფონზე, ქალები, უბრალოდ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ მათ ამოუწურავ შესაძლებლობებს. აქვთ ნაკლები ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ. შესაბამისად, ცოდნის ნაკლებობაა რეალური ხელშემშლელი ფაქტორი და ბარიერი, მათი უფრო მეტი გააქტიურებისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა სამიზნე ჯგუფების გამოკვეთა და მათი ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა. პირისპირ შეხვედრების დაგეგმვა, მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა. მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და მისი მნიშვნელობა, საკუთარ უფლებებზე, ქონების გადანაწილებაზე და ა.შ. ასევე დამხმარე სერვისების შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცენ, ან ვის უნდა მიმართონ.

„ქალთა ოთახი“, ეს არის ღია საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი, თქვა მომხსენებელმა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ინფორმირებულობას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ჩვენთან არსებულ რეალობას, ქალების გარკვეული ნაწილი, ნამდვილად აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რასაც ადასტურებს, მაგალითად, სოფლის კრებებზე ქალთა დასწრების რაოდენობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობა, თუმცა, ეს არ არის საკმარისი. კარგია, რომ საბჭოში ერთი წევრი ქალი შშმ პირია. შშმ პირის აქტიური ჩართულობა საბჭოს მუშაობაში იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მას უფრო უკეთესად შეუძლია დაინახოს შშმ პირთა საჭიროებები და დააყენოს წინადადებები, მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ძალიან კარგია, რომ უკვე არსებობს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხდება ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დადგენა და მათი მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ქალებმა უკვე მიიღეს მნიშვნელოვანი გამოცდილება პროექტებზე მუშაობაში და მიიღეს გრანტები, რაც შესაძლებელს ხდის, გარკვეულწილად ამაღლდეს მათი დაინტერესება.ქმნიან მცირე მეურნეობებს, აწარმოებენ პროდუქტს და ახდენენ მის რეალიზებას. ეს, საბოლოო ჯამში თავისთავად, მათ გაძლიერებასაც გულისხმობს.

აზრი გამოთქვეს:

1.სერგი ხიდეშელი -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც დაინტერესდა ცნობიერების ასამაღლებლად რა გაკეთდა და რა იგეგმება სამომავლოდ.

2.მანანა ჩაგელიშვილი, კომისიის წევრი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელმაც განმარტა, რომ დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, რომელიც თვეში ერთხელ მაინც ჩატარდება, რაზედაც პირდაპირ იყო მოთხოვნა. გვაქვს სტატისტიკის პირველი ვარიანტი გენდერის ჭრილში, რომელიც თანდათან ზუსტდება. რადგანაც, დღეისათვის დიდი ყურადღება ეთმობა გენდერულ ბიუჯეტირებას, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტირების პროცესში, მეტი ქალის ჩართულობა (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების) ამ პროცესში.

ძალიან კარგი მაგალითი გვაქვს: ორ სოფელში - ჭიორასა და უწერაში, შევძელით და გავხსენით სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფები, სადაც დასაქმდნენ ქალები.

3. ლევან შერაზადიშვილი, საბჭოს წევრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც თქვა, რომ ჩვენ, აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმ ქალბატონებზე, ვისაც ჯერ არა აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, სწორედ ამ მიმართულებით მათი ინფორმირებულობა იქნება მნიშვნელოვანი. მათ ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ შეძლონ ჩაერთონ ამ პროცესში და მიიღონ გამოცდილება იმ პირების თანაბრად, რომლებმაც უკვე დაწერეს პროექტები და მოიპოვეს გრანტები.

2. დაადგინეს:

1.მიღებული იქნას ცნობად მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის სპეციალისტის ელენე ჩიკვილაძის ინფორმაცია „შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის ცნობიერების ამაღლების მდგომარეობა, გენდერული თანასწორობის პრინციპების ჭრილში“.

3. მოისმინეს:

ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის სხვა ბავშვების მსგავსად, თანაბარი უფლებებისა და მოპყრობის რეალიზების მდგომარეობა

თამარ ლობჯანიძე - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი;

თანამომხსენებელი - მაია ჯაფარიძე, მინდობით აღმზრდელი

მომხსენებელი თ. ლობჯანიძე აღნიშნავს, რომ საქართველო 1994 წელს შეუერთდა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომელიც აცხადებს, რომ „გონებრივად ან ფიზიკურად უნარშეზღუდული ბავშვი, სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რაც მას უძლიერებს ღირსების გრძნობას, ხელს უწყობს თვითრწმენის ჩამოყალიბებას და მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში“. მუნიციპალიტეტი, აქედან გამომდინარე, მუდმივად ზრუნავს, სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებთან მიმართებაში, გაატაროს ერთნაირი ღონისძიებები, მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 14 ივნისს მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს, თანაბრად უზრუნველყოს უნარშეზღუდულ პირთა და სხვა მოქალაქეთა უფლებების რეალიზება, შექმნას ხელსაყრელი პირობები უნარშეზღუდულთა სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. სწორედ, ეს კანონი მოითხოვს, რომ შშმ პირთათვის უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია, განათლება და პროფესიული მომზადება, სოციალური დახმარება, გადაადგილების და სხვა საშუალებების უფასოდ, ან შეღავათიან პირობებში მიწოდება, შრომის სათანადო პირობების მისაწვდომობა, შეღავათიანი საყოფაცხოვრებო მომსახურება, სპორტის შესაბამისი სახეობების დანერგვა და განვითარება და სხვა.

ბავშვთა უფლებების დაცვა და მათზე ზრუნვა, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია, მეტიც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე მზრუნველობას და მათთვის დახმარების გაწევას იმ კუთხით, რომ კი არ შევიცოდოთ ისინი, არამედ, მოვახდინოთ მათ მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმის შემცირება და ყველგან, როგორც ოჯახში, ასევე ოჯახის გარეთ, შევუქმნათ ადაპტირებული გარემო, აღმოვუჩინოთ სისტემატური დახმარება, სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

მერიის მიერ, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ ბავშვებზე ხორციელდება ყველა ის დახმარება, რაც შესაბამისი კანონმდებლობებით და კანონქვემდებარე აქტებითაა გათვალისწინებული.

მუდმივი ყურადღების ცენტრშია, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური მეორადი სტრუქტურული ერთეულის დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება.

დღეის მდგომარეობით, უკვე განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 41 ბავშვიანი ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასება. აქედან, 9 ოჯახი, შშმ ბავშვიანია. სკრინინგის დროს, გამოიკვეთა სხვადასხვა სახის საჭიროებები. 3 ოჯახს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამიდან, უკვე გაეწია დახმარება, თითოეულს, 300 (სამასი) ლარის ოდენობით. სამსახური ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას, რათა ასეთ მოწყვლად ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს, აღმოვუჩინოთ გარკვეული მხარდაჭერა, იმ მიზნით, რომ სხვა ბავშვების მსგავსად, მათაც შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები, სრულფასოვანი ცხოვრებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალი „ივერია ბრილიანტი“ 2023 წელს, უკვე მეექვსედ უნდა გაიმართოს საქართველოში, ამ ფესტივალის გამართვა წელს, ჩვენს ქალაქშია დაგეგმილი, რომელიც ივნისის ბოლოს ჩატარდება. ჩვენ აქტიურად ვიქნებით ჩართული ამ ღონისძიებაში, რათა ყველა შშმ პირს, მათ შორის ბავშვებს, ვინც ცხოვრობს მუნიციპალიტეტში და ავლენს რომელიმე მიმართულებით ნიჭს, მივცეთ სრული შესაძლებლობა საუკეთესო უნარების თვითრეალიზებისთვის.

ჩვენ ვცდილობთ ყურადღება არ მოვაკლოთ ჩვენი მხრიდან მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებს. ამის მაგალითია, დღეს რომ მინდობით აღმზრდელი, მაია ჯაფარიძე ჩვენთანაა.

მაია ჯაფარიძე - მინდობით აღმზრდელი, აღნიშნავს, რომ მე, ოთხი „შვილის დედა“ ვარ და ერთგვარად საამაყოცაა ეს. მაია, 2016 წლიდან ცხოვრობს ჩემთან. როცა მოვიყვანე, არ ლაპარაკობდა. ძალიან მინდა ლოგოპედი და ფსიქოლოგი იყოს ხელმისაწვდომი. გარკვეული შედეგები გვაქვს. ბავშვი, ახლახანს მყავდა ციციშვილის სახელობის კლინიკაში, მაიას აქვს შიშები, რომ დავტოვებ. ბავშვი ცაგერიდანაა, რომელსაც ბებია გარდაეცვალა და ყავს ავადმყოფი მამა. მამამისი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში. ალბათ, როცა ბავშვი გახდება 18 წლის, ვერსად გავუშვებ, უნდა იცხოვროს ჩემთან. მეორე ბავშვი სსსმ ბავშვია. სკოლაში, მასთან მუშაობენ ინკლუზიის სპეციალისტები. თანაკლასელებიც კარგად ურთიერთობენ. ვცდილობ, არაფერი მოაკლდეთ ბავშვებს და მე მგონი გამომდის, კიდეც.

ხშირად გვიტარდება ტრენინგები, სოციალური სამსახური გვამოწმებს თვეში ერთხელ, ან ორჯერ. მოცემულ რეკომენდაციებს, ყოველთვის ითვალისწინებს ჩემი ოჯახი.

აზრი გამოთქვეს:

1.ლევან შერაზადიშვილი - კომისიის წევრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ წინასწარ გვეცოდინება, რა განსაკუთრებული საჭიროებების წინაშე დადგება მინდობით აღმზრდელი ოჯახი.

3. დაადგინეს:

-ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ, მუშაობაში იხელმძღვანელოს ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, საერთაშორისო და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებებით და კანონქვემდებარე აქტებით;

- თანამიმდევრული მუშაობის დაგეგმვის კვალდაკვალ, მიაღწიოს, რომ შეიქმნას სრულყოფილი ბაზა 0-დან 18 წლამდე ბავშვთა გადაუდებელი საჭიროების შესახებ და ეტაპობრივად მოახდინოს ამ საჭიროებების გამოსასწორებლად, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა -განხორციელება, ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების აქტიური ჩართულობის გზით;

- სრულად აღრიცხოს და განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს 0-დან 18 წლამდე ასაკის ის ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ უკიდურეს სიღარიბეში და საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას;

- პერიოდულად წარმოუდგინოს ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს, განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.

4. მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მიერ, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, შესაბამისი პროგრამების შემუშავების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მდგომარეობის შესახებ

თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მომხსენებელი თ. ბროლაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონის - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო. ეს პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს, სადაც აქტიურადაა ჩართული წინასწარ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები.

ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია პროექტის გაცნობა საჯაროდ, წინასწარ დაგეგმილ მოქალაქეთა შეხვედრებზე, სადაც მოსახლეობას შეუძლია დააყენოს წინადადებები, რომელსაც მათი აქტუალურობიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ პრიორიტეტების დამტკიცების პროცესში. ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიმდინარეობისას, რა თქმა უნდა, სრული შესაძლებლობა ეძლევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, იყვნენ აქტიურები. ამ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფში მართალია, მოწვეული არ არიან შშმ პირები, თუმცა კარგი იქნება, თუ ეს საკითხი განხილული იქნება და დადებითადაც გადაწყდება.

მუნიციპალიტეტის მერია, ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე, რისთვისაც მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. იმ პირებს, ვინც შემხეობაშია შშმ პირებთან მუშაობაში, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტისათვის ინფორმაციების შეგროვებისა და წარდგენის პროცესში, სრული შესაძლებლობა ეძლევათ აქტიურად ჩართონ შშმ პირები, რომელთა რიცხვი მუნიციპალიტეტში არც თუ ისე ცოტაა და დღეის მდგომარეობით შეადგენს 333 პირს.

4. დაადგინეს:

-მიღებული იქნას ცნობად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ინფორმაცია „მუნიციპალიტეტის მიერ, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შესაბამისი პროგრამების შემუშავების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მდგომარეობის შესახებ“ .

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე - ს. ხიდეშელი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი - ლ. გამყრელიძე